ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2768825

ნომერი: AR1421510

თარიღი : 11.07.2016

გაცემის თარიღი : 09.08.2016

გაცნობის თარიღი : 12.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 10 , და N10-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N130/57) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ წოწოლაშვილი პ/ნ 01024058769
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 17 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.01.2009 წ. №3 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
მოქ. ვასილ წოწოლაშვილმა (თანაგამცხადებელი: ალი გაჯიევი) 11.07.2016 წ. №AR1421510 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 09.01.2009 წ. №3 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 09.01.2009 წ. ქ. თბილისში, წინანდალის ქ. №10-ს მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.17.01.130.057 ფართით 1050 კვ.მ.) არსებულ საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გაიცა №3 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი №882013166282), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობისა და საკადასტრო კოდის უცვლელად.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.01.2009 წ. №3 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი №882013166282);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.01.2009 წ. №3 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.